საქართველო

სამოქმედო აქტი

სერვერების ფიზიკურად

06 03 2006 წ.

სოფელი

_____ _____

მონაწილეები:

_____ _____

[illegible]

[illegible] № 22240

[illegible]

[illegible] 2006 [illegible] № [illegible]
[illegible]

[illegible]

1. [illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]

11. [illegible] 2001 [illegible] 1 [illegible]
[illegible]

12. [illegible] 2002 [illegible] 27 [illegible]
[illegible]

13. [illegible] 2006 [illegible] 31 [illegible]
[illegible]

[illegible] 21 [illegible] 2006 [illegible]

[illegible] № [illegible] 10
[illegible]

3. „[illegible] [illegible]" [illegible] „[illegible] [illegible]" [illegible] [illegible] [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

1. [illegible]

2. [illegible] 2002 წლის 20 [illegible] [illegible] 2003 წლის 09.01 [illegible] №

3. [illegible]

4. [illegible] 2003 წლის 20 [illegible] [illegible] 2008 წლის 30 [illegible] [illegible]

5. [illegible] 2003 წლის 7 [illegible]

6. [illegible] 200[illegible] წლის [illegible] №1 [illegible]

7. [illegible] [illegible] №[illegible] [illegible]

8. [illegible]

9. [illegible]

„[illegible]" [illegible]

„[illegible]" [illegible]

[illegible]

სერვიტუტის ხელშეკრულება

წინამდებარე სერვიტუტის ხელშეკრულება (შემდგომში „წინამდებარე ხელშეკრულება") დადო 2006 წლის 06 ივლისს შემდეგი მხარეების მიერ და მათ შორის:

(1) **ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია** (შემდგომში „მილსადენის კომპანია"), მოქმედი საქართველოს ფილიალის მეშვეობით, რომელიც რეგისტრირებულია ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ 2002 წლის 27 სექტემბერს, რეგისტრაციის № - - - - - - ოურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, (წარმოდგენილი 0 — მიერ; და

(2) **[მიწის მესაკუთრის სახელი და სხვა რეკვიზიტები]** _____ _____0 - 0 5 4 , _____

(შემდგომში „მიწის მესაკუთრე").

"მილსადენის კომპანია" და „მიწის მესაკუთრე" ცალ-ცალკე მოიხსენებიან როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად - როგორც „მხარეები".

პრეამბულა

(ა) საქართველოს სახელმწიფომ თანხმობა განაცხადა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მშენებლობასა და ფუნქციონირებაზე; ორივე მილსადენი გაივლის აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთის რესპუბლიკამდე (შემდგომში ცალ-ცალკე მოიხსენებიან, როგორც „მილსადენი" ან „მილსადენის პროექტი", და ერთობლივად როგორც „მილსადენები" ან „მილსადენის პროექტები").

(ბ) თვითეულ „მილსადენის პროექტთან" დაკავშირებით, საქართველოს მთავრობამ გააფორმა „ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულება", რომელსაც აქვს საერთაშორისო ხელშეკრულების უპირატესი იურიდიული ძალა.

(გ) თვითეული „მილსადენის" ფუნქციონირება დაიწყება ასეთი „მილსადენის" მშენებლობის დამთავრების დღეს, და გაგრძელდება შესაბამისი „მილსადენის პროექტის" ყველა უფლებისა და მოვალეობის ვადის ამოწურვის ან დასრულების თარიღამდე შესაბამისი „ტერიტორიის მფლობელ ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების" შესაბამისად, თუ „მილსადენის კომპანიის" მიერ მიწოდებულ შეტყობინებაში სხვა თარიღი (თარიღები) არ იქნება მითითებული (შემდგომში „ოპერაციო პერიოდი").

(დ) "მიწის მესაკუთრე" არის მესაკუთრე მიწის ნაკვეთისა, როგორც ეს განსაზღვრულია საჯარო რეესტრის ამონაწერსა და საკადასტრო გეგმაზე, რომლებიც ინახება ნოტარიუსთან (შემდგომში „მიწის ნაკვეთი"), და „მიწის ნაკვეთის" ის ნაწილი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების" დანართი 1-ში მოცემულ „მიწის გეგმაზე" ნაცრისფრად არის შეფერილი

უწყვეტი შავი ფერის საზღვრებს შორის (შემდგომში „მეორე ზონის მიწა"), მოქცეულია „მილსადენების" მეორე დამცავ ზონაში.

(ე) იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს „მილსადენების" მთლიანობა და უსაფრთხო ფუნქციონირება, „მხარეებს" ხურთ „მილსადენის კომპანიის" სასარგებლოდ გაფორმონ სერვიტუტი „მეორე ზონის მიწაზე".

„მხარეები" შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. მხარეთა განცხადებები

1.1 „მიწის მესაკუთრე" ადასტურებს, რომ:

(ა) „მიწის მესაკუთრე" არის „მეორე ზონის მიწის" ერთადერთი და კანონიერი მესაკუთრე, მფლობელი და მოსარგებლე, და „მიწის მესაკუთრის" სახელი სწორადაა დაფიქსირებული თანდართულ დოკუმენტებში;

(ბ) „მეორე ზონის მიწა" არ არის დატვირთული რაიმე უფლებით რომელიმე პირის სასარგებლოდ, გარდა „მიწის მესაკუთრის" საკუთრების უფლებისა, და „მიწის მესაკუთრისათვის" არ არის ცნობილი რაიმე პრეტენზია, რომელიც ნებისმიერ სხვა პირს გააჩნია ან შეიძლება გააჩნდეს „მეორე ზონის მიწასთან" დაკავშირებით;

(გ) „მიწის მესაკუთრეს" არც დაუდია და არც ვალდებულება უკისრია, რომ დადოს რაიმე ისეთი ხელშეკრულება ან გარიგება (გარდა „წინამდებარე ხელშეკრულებისა"), რომელსაც შეუძლია, რაიმე გავლენა იქონიოს „მიწის მესაკუთრის" ამჟამინდელ ან სამომავლო უფლებებზე „მეორე ზონის მიწის" მიმართ, ან წარმოშვას ნებისმიერი პირის რაიმე უფლება „მეორე ზონის მიწის" მიმართ;

(დ) „მიწის მესაკუთრემ" არ უწყის არავითარი ისეთი მიზეზის ან გარემოების შესახებ, რაც ხელს შეუშლიდა მის მიერ „წინამდებარე ხელშეკრულების" დადებას;

(ე) „მიწის მესაკუთრის" მიერ მოპოვებული იქნა მის მიერ "წინამდებარე ხელშეკრულების" გაფორმებისა და შესრულებისათვის საჭირო ყველა თანხმობა და ნებართვა; და

(ვ) „წინამდებარე ხელშეკრულებაზე" თანდართული დოკუმენტები ყოველმხრივ სამდვილია და ზუსტი.

1.2 „მილსადენის კომპანია" ადასტურებს, რომ:

(ა) „მილსადენის კომპანია" არის იურიდიული პირი, რომელიც ორგანიზებულია, რეგისტრირებულია და მოქმედებს მისი რეგისტრაციის იურისდიქციაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; შესრულებულია და დასრულებულია მოქმედი კანონმდებლობითა და „მილსადენის კომპანიის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციით

გათვალისწინებული ყველა პროცედურა, რაც საჭიროა „მილსადენის კომპანიის" მიერ „წინამდებარე ხელშეკრულების" დადებისა და „მილსადენის კომპანიის" სახელით „წინამდებარე ხელშეკრულებაზე" ხელმოწერი პირის სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვისათვის; და

(ბ) „მილსადენის კომპანიამ" არ უწყის არავითარი ისეთი მიზეზის თუ გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მიერ „წინამდებარე ხელშეკრულების" დადებას.

მუხლი 2. სერვიტუტის უფლების მინიჭება

2.1 „წინამდებარე ხელშეკრულების" ძალით და მისი პირობების საფუძველზე, „მიწის მესაკუთრე" „მილსადენის კომპანიას" ანიჭებს სერვიტუტის უფლებას „მეორე ზონის მიწის" მიმართ (შემდგომში „წინამდებარე სერვიტუტის უფლება").

2.2 „წინამდებარე სერვიტუტის უფლება" „წინამდებარე ხელშეკრულების" მოქმედების ვადის განმავლობაში რეგისტრირებული და საჭიროებისამებრ ხელახლა რეგისტრირებული უნდა იქნეს საჯარო რეესტრში სანივთო უფლებად თვითეული „მილსადენის პროექტის" მიმართ, და მისი არსებობის განმავლობაში დაავალდებულებს როგორც „მიწის მესაკუთრეს", ასევე ყველა მომავალ მესაკუთრეს, მოსარგებლეს და ყველა სხვა პირს, რომელიც პრეტენზიას განაცხადებს რაიმე უფლებაზე „მეორე ზონის მიწის" მიმართ. ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, „მეორე ზონის მიწის" მესაკუთრის ვინაობაში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ ახალი მესაკუთრე გახდა „წინამდებარე ხელშეკრულებისა" და „წინამდებარე სერვიტუტის უფლების" მხარე ყველა მიზნისათვის, და „წინამდებარე ხელშეკრულებაში" არსებული მითითებები - „მიწის მესაკუთრე", „მხარე", „მხარეები" – საკუთრების უფლების ასეთი გადაცემის ძალაში შესვლის თარიღიდან ჩაითვლება მითითებად ასეთ ახალ მესაკუთრეზე და არა ყოფილ მესაკუთრეზე.

2.3 „მეორე ზონის მიწის" მიმართ, „მიწის მესაკუთრის" მიერ ნებისმიერი პირისათვის სარგებლობის ან ნებისმიერი სხვა არამესაკუთრეო უფლების გადაცემა უნდა დაექვემდებაროს „წინამდებარე ხელშეკრულების" პირობებს, და ასეთმა გადაცემამ არანაირად არ უნდა შეზღუდოს, შეამციროს, იქონიოს სხვაგვარი უარყოფითი გავლენა, ან ხელი შეუშალოს „წინამდებარე სერვიტუტის უფლების" მინიჭებას, მის ოერიდიულ ძალას ან „წინამდებარე სერვიტუტის უფლებით" სარგებლობას. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, „წინამდებარე სერვიტუტის უფლების" პირობებსა და „მეორე ზონის მიწასთან" დაკავშირებული ნებისმიერი პირის რაიმე უფლების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობისა თუ შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირობო უპირატესობა მიენიჭება და გამოიყენება „წინამდებარე სერვიტუტის უფლების" პირობები.

2.4 „მიწის ნაკვეთის" ორ ან მეტ ნაკვეთად დაყოფის შემთხვევაში, ამგვარი დაყოფის შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი მიწის ნაკვეთი, რომელიც არ კვეთს „მეორე ზონის მიწას", იქნება თავისუფალი „წინამდებარე სერვიტუტის უფლებისაგან", და ამგვარი დაყოფის შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი მიწის ნაკვეთი, რომელიც კვეთს „მეორე ზონის მიწას", ამგვარი გადაკვეთის ფარგლებში, დარჩება დატვირთული „წინამდებარე სერვიტუტის უფლებით" და სრულად დაექვემდებარება „წინამდებარე ხელშეკრულების" პირობებს. „მხარეები" დროულად მიიღებენ ყველა საჭირო ზომას, რათა განახორციელონ „წინამდებარე ხელშეკრულების"

შესაბამისი დანართის შესწორებული ვარიანტის რეგისტრაცია და საჭიროებისამებრ ხელახალი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, და ასეთი რეგისტრაციის შემდგომ „წინამდებარე ხელშეკრულებაში" არსებული ველა მითითება „მიწის ნაკვეთზე", „მეორე ზონის მიწაზე" და „წინამდებარე ხელშეკრულების" სხვა პირობებზე გაგებული იქნება შესაბამისად.

მუხლი 3. შეზღუდვები

3.1 როგორც „წინამდებარე სერვიტუტის უფლების" განუყოფელი ნაწილი და „წინამდებარე ხელშეკრულების" მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, „მიწის მესაკუთრემ" სრულად და უპირობოდ უნდა დაიცვას დანართი 2-ით გათვალისწინებული შეზღუდვები (შემდგომში „შეზღუდვები"), და უნდა უზრუნველყოს, რომ „შეზღუდვები" არ დარღვევა არცერთი პირის მიერ, იმის გათვალისწინებით, რომ "შეზღუდვები" არ ვრცელდება „მილსადენის კომპანიაზე", მისი კონტრაქტორებსა და „მილსადენის კომპანიის" მიერ სათანადოდ უფლებამოსილ სხვა პირებზე.

3.2 ზემოთმოცემული 3.1 პუნქტის შეზღუდვის გარეშე, „მიწის მესაკუთრე" ვალდებულია, დაუყონებლივ შეატყობინოს „მილსადენის კომპანიას" „შეზღუდვების" ნებისმიერი დარღვევის შესახებ მაშინვე, როგორც კი „მიწის მესაკუთრე" შეიტყობს ასეთი დარღვევის შესახებ.

3.3 იმ შემთხვევაში, თუ „მეორე ზონის მიწით" სარგებლობა დაექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შეზღუდვებსაც, „წინამდებარე ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „შეზღუდვების" გარდა და დამატებით, „წინამდებარე ხელშეკრულების" არცერთი დებულება არ ათავისუფლებს „მიწის მესაკუთრეს" ამგვარი სხვა ან დამატებითი შეზღუდვებისაგან.

3.4 თითოეული „მილსადენის პროექტის" მიმართ, არც წინამდებარე მე-3 მუხლი და არც „წინამდებარე ხელშეკრულების" რომელიმე სხვა დებულება წარმოადგენს უარის თქმას იმ უფლებებსა და დაცვის მექანიზმებზე, რომლებიც მინიჭებულია შესაბამისი ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებებით ან თვითეულ „მილსადენის პროექტთან" დაკავშირებით დადებული ნებისმიერი სხვა პროექტის ხელშეკრულებებით, და ასეთი უფლებები და დაცვის საშუალებები ძალაში იქნება ამგვარი ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიუხედავად „წინამდებარე ხელშეკრულების" არსებობის, შეჩერების ან შეწყვეტისა.

მუხლი 4. ანაზღაურება

„წინამდებარე ხელშეკრულების" პირობების შესაბამისად „წინამდებარე სერვიტუტის უფლების" მინიჭებისათვის სრული და საბოლოო ანაზღაურების სახით, „მილსადენის კომპანიამ" „მიწის მესაკუთრეს" გადაუხადა ერთჯერადი საზღაური 640 ლარის ოდენობით, რომელზე თანხმობას და რომლის მიღებასაც „მიწის მესაკუთრე" „წინამდებარე ხელშეკრულებით" ადასტურებს. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, არც „მიწის მესაკუთრეს" და არც ნებისმიერ სხვა პირს არ ეუნება უფლება რაიმე დროს მოითხოვოს ნებისმიერი სხვა ან დამატებითი ანაზღაურება „წინამდებარე სერვიტუტის უფლების" სანაცვლოდ.

მუხლი 5. მოქმედების ვადა და შეწყვეტა

5.1 „წინამდებარე ხელშეკრულება" ძალაში შედის „წინამდებარე ხელშეკრულების" პირველ აბზაცში მითითებულ თარიღზე, რომელიც ასევე არის „მხარეების" მიერ მისი ხელმოწერის თარიღი და, ქვემოთმოცემული 5.4 პუნქტის გათვალისწინებით, შეინარჩუნებს სრულ ძალას „საოპერაციო პერიოდის" დასრულებამდე.

5.2 „წინამდებარე სერვიტუტის უფლება" „მეორე ზონის მიწის" მიმართ წარმოიშობა და უფლებრივად დატვირთავს მას „წინამდებარე ხელშეკრულების" ნოტარიზებული ასლის საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთანავე და, თუ „მილსადენის კომპანიის" მიერ ვადაზე ადრე არ იქნა შეწყვეტილი, შეინარჩუნებს სრულ იურიდიულ ძალას „საოპერაციო პერიოდის" დასრულებამდე.

5.3 „მიწის მესაკუთრეს" არ აქვს უფლება, ცალმხრივად შეწყვიტოს „წინამდებარე ხელშეკრულება", ან „წინამდებარე სერვიტუტის უფლება" რაიმე დროს, არანაირი მიზეზის გამო.

5.4 „მილსადენის კომპანიას" უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს „წინამდებარე ხელშეკრულება" და „წინამდებარე სერვიტუტის უფლება" ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისაებრ. „მიწის მესაკუთრე" აცხადებს მის უპირობო და შეუქცევად თანხმობას „წინამდებარე ხელშეკრულების" ნებისმიერ ასეთ შეწყვეტაზე, და „მხარეები" დროულად მიიღებენ ყველა ზომას, რაც საჭიროა ასეთი შეწყვეტის სათანადო რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრში.

მუხლი 6. ხელშეკრულების გადაცემა

6.1 „წინამდებარე სერვიტუტის უფლება" დატვირთავს და მიჰყვება „მეორე ზონის მიწის" საკუთრების უფლებას ნებისმიერ დროს და „მიწის მესაკუთრის" ვინაობის მიუხედავად, და „მიწის მესაკუთრეს" არ აქვს უფლება, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს, გაუზიაროს სხვა პირს ან სხვაგვარად განკარგოს „წინამდებარე ხელშეკრულებით" გათვალისწინებული თავისი უფლებები და ვალდებულებები და „წინამდებარე სერვიტუტის უფლება".

6.2 „მილსადენის კომპანიას" უფლება აქვს, ნებისმიერ პირს ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისაებრ სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს, გაუზიაროს ან სხვაგვარად განკარგოს (ნებისმიერი სახის მოთხოვნის უწრუნველყოფით დატვირთვის ჩათვლით) „წინამდებარე ხელშეკრულებით" გათვალისწინებული თავისი უფლებები და ვალდებულებები და „წინამდებარე სერვიტუტის უფლების" შესაბამისი ნაწილი, როგორც მთლიანი „მეორე ზონის მიწის" ასევე მხოლოდ მისი რაიმე ნაწილის მიმართ. „მიწის მესაკუთრე" აცხადებს უპირობო და შეუქცევად თანხმობას ნებისმიერ ასეთ გარიგებაზე. ნებისმიერი ასეთი გარიგება (გარიგებები) ძალაში შევა შესაბამისი გარიგების დოკუმენტის ნოტარიზებული ასლის საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთანავე, რისთვისაც „მხარეები" დროულად მიიღებენ ყველა საჭირო ზომას.

6.3 ნებისმიერი სრული გადაცემის შემთხვევაში ზემოთმოცემული 6.2 პუნქტის შესაბამისად, ჩაითვლება, რომ მიმღები პირი გახდა „წინამდებარე ხელშეკრულების" მხარე და „წინამდებარე სერვიტუტის უფლების" ბენეფიციარი ყველა მიზნისათვის, და „წინამდებარე ხელშეკრულებაში" არსებული მითითებები - „მილსადენის კომპანია", „მხარე", „მხარეები" – ასეთი სრული გადაცემის ძალაში შესვლის თარიღიდან ჩაითვლება მითითებად ასეთ მიმღებ პირზე და არა გადამცემზე. თუ ადგილი ექნება ნაწილობრივ გადაცემას ზემოთმოცემული 6.2 პუნქტის შესაბამისად, რომლის მეშვეობითაც „მილსადენის კომპანია" „წინამდებარე ხელშეკრულებით" გათვალისწინებული თავისი უფლებებისა და ვალდებულებების მხოლოდ ნაწილს და „წინამდებარე სერვიტუტის უფლების" შესაბამის ნაწილს გადასცემს, შეზღუდვის გარეშე, სამხრეთ კავკასიის გაზის „მილსადენის პროექტის" შემადგენელ ან წარმომადგენელ ერთ ან მეტ პირს, მაშინ ასეთი გადაცემის ძალაში შესვლის თარიღიდან და მხოლოდ ასეთი გადაცემის ფარგლებში, „წინამდებარე ხელშეკრულება" და „წინამდებარე სერვიტუტის უფლება" გაიყოფა და შემდგომ იმოქმედებს, როგორც ორი განცალკევებული ხელშეკრულება და ორი განცალკევებული სერვიტუტის უფლება, რის შედეგადაც „წინამდებარე ხელშეკრულებით" გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა და „წინამდებარე სერვიტუტის უფლების" გადაცემული ნაწილის მიმართ ყველა მითითება „მილსადენის კომპანიაზე" უნდა აღნიშნავდეს უფლებამონაცულეებს, მათ შორის სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენის პროექტის შემადგენელ ან წარმომადგენელ პირს (პირებს), ხოლო „წინამდებარე ხელშეკრულებით" გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა და „წინამდებარე სერვიტუტის უფლების" გადაუცემელი ნაწილი სრულ ძალაში დარჩება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიასა და „მინის მესაკუთრეს" შორის, „მილსადენის კომპანიაზე" და „წინამდებარე ხელშეკრულების" სხვა ტერმინებზე მითითებების შესაბამისი განმარტებით.

მუხლი 7. მარეგულირებელი სამართალი და დავების მოგვარება

7.1 „წინამდებარე ხელშეკრულება" უნდა დარეგულირდეს და განიმარტოს ქართული სამართლით.

7.2 „მხარეები" უნდა შეეცადონ ნებისმიერი დაეის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. თუ „მხარეები" ვერ მიაღწევენ მშვიდობიან შეთანხმებას, დავა გადასაწყვეტად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს.

7.3 დავის არსებობა გავლენას არ იქონიებს და არ ათავისუფლებს „მხარეებს" ვალდებულებისაგან, მკაცრად დაიცვან „წინამდებარე ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „შეზღუდვები" და მისი ყველა სხვა პირობები.

მუხლი 8. სხვადასხვა

8.1 თუ „წინამდებარე ხელშეკრულება" სხვა რამეს არ ითვალისწინებს, მისი არცერთი დებულება არ შეიძლება იქნეს უარყოფილი, გაუქმებული ან შეცვლილი ორივე „მხარის" მიერ სათანადოდ ხელმოწერილი წერილობითი ფორმის გარეშე.

8.2 „წინამდებარე ხელშეკრულება" სრულად ასახავს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით „მხარეთა" შორის არსებულ შეთანხმებასა და ურთიერთგაგებას.

8.3 „წინამდებარე ხელშეკრულების" რომელიმე დებულების რაიმე დროს იურიდიული ძალის არმქონედ ან აღუსრულებლად გამოცხადება გავლენას არ იქონიებს მისი დანარჩენი დებულებებისა და მთლიანად „წინამდებარე ხელშეკრულების" იურიდიულ ძალასა და აღსრულებადობაზე.

8.4 „წინამდებარე ხელშეკრულებაში":

(ა) სათაურები მოცემულია მხოლოდ ხელშეკრულების ტექსტად სარგებლობის გასაადვილებლად და მათ არ უნდა იქონიონ გავლენა „წინამდებარე ხელშეკრულების" განმარტებაზე; და

(ბ) ყველა დანართი, დამატება და სათანადო წესით შესრულებული ცვლილება „წინამდებარე ხელშეკრულებაში" წარმოადგენს „წინამდებარე ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს.

8.5 „მხარეები" ვალდებულნი არიან, განახორციელონ მათგან მოითხოვნილი ყველა მოქმედება „წინამდებარე ხელშეკრულების", იმავე როგორც მასში ნებისმიერი ცვლილების, საქართველოს საჯარო რეესტრში სათანადო წესით რეგისტრაციის განსახორციელებლად. ასეთ რეგისტრაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება „მილსადენის კომპანიას".

8.6 „წინამდებარე ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა სახის კომუნიკაცია უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე წერილობითი ფორმით, და უნდა ჩაბარებული იქნეს შესაბამისი „მხარის" ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე, ან სხვა ისეთ მისამართზე, რომელსაც ასეთი „მხარე" დროდადრო შეატყობინებს მეორე „მხარეს", და უნდა ჰქონდეს ძალა მიუხედავად მისამართის ნებისმიერი შეცვლისა, რომელიც არ ყოფილა შეტყობინებული. „წინამდებარე ხელშეკრულებით" გათვალისწინებული შეტყობინების მიზნებისათვის, „მხარეთა" მისამართები არის შემდეგი:

„მილსადენის კომპანია" _____

„მიწის მესაკუთრე" _____

8.7 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებას ქართულენოვანი ვარიანტის გარდა სხვა ენებზეც მოეწერება ხელი, მაშინ ქართულ ვარიანტს მიენიჭება უპირატესობა და გამოიყენება სხვადასხვა ვარიანტებს შორის ნებისმიერი შეუსაბამობის არსებობისას, და ამგვარი შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით მხარეები დაუყოვნებლივ შეიტანენ ცვლილებებს ასეთ სხვა ენოვან ვარიანტებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, მხარეებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას მის დასაწყისში მითითებულ თარიღზე.

„მილსადენის კომპანიის" სახელით

_____ _____

„მიწის მესაკუთრის" სახელით

_____

დანართი 1.
მიწის გეგმა

დანართი 2
შეზღუდვები

1. აკრძალვები

1.1 „წინამდებარე ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში, „მეორე ზონის მიწის" მიმართ, აკრძალულია;

(i) ნებისმიერი სახის საცხოვრებელი თუ არასაცხოვრებელი ნაგებობის მშენებლობა;

(ii) ნებისმიერი სახის საშუალების მშენებლობა ან მოწყობილობის აღმართვა, მათ შორის შინაური ცხოველებისათვის განკუთვნილი ფარეხებისა;

(iii) ფურაჟის, სასუქის და სხვა მასალების შენახვა; თივისა და ჩალის ზვინების დადგმა;

(iv) ნებისმიერი სახის ცეცხლის გაჩაღება;

(v) ბილიკების, სამანქანო მისასვლელების და გზების მოწყობა;

(vi) ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანებისა და სხვა მოძრავი აგრეგატების გასაჩერებლად სადგომების მოწყობა და მათით სარგებლობა;

(vii) ასფალტებელი ნივთიერებებით სარგებლობა, ურნალის გამოყენება, ან მსგავსი მიწისზედა ან მიწისქვეშა საქმიანობა;

(viii) მიწაზე მავის, ტუტეს ან სხვა ადვილად აალებადი, კოროზიული ან ტოქსიკური სითხეების დახხმა ან დაღვრა;

(ix) შედუღების ან ნებისმიერი მსგავსი საქმიანობის განხორციელება, რაც მოიცავს [ღია] ცეცხლის ალის ანთებას, ქვემოთმოცემულ 2.1 პუნქტში განსაზღვრული საქმიანობის გარდა, თუ ეს ნებადართულია „მილსადენის კომპანიის" მიერ და ხორციელდება მისი ზედამხედველობისა და კონტროლის ქვეშ;

(x) კონტაქტი ნებისმიერ ნიშნულებიან ბოძთან, კათოდური ტესტირების წერტილებთან, ან ნებისმიერ სხვა მოწყობილობებთან ან საშუალებებთან, მათ შორის, მათი გადაადგილება, ჩამარხვა, გატეხვა ან წაქცევა;

(xi) „მილსადენის კომპანიის" რაიმე ქონებასთან ნებისმიერი სახის კონტაქტი, მათ შორის, სარქველების გახსნა ან დახურვა, ნებისმიერი სახის გადამრთველი (ჩამრთველი) მოწყობილობის ჩართვა-გამორთვა, ელექტრომიწოდების მოწყობილობებთან კონტაქტი;

(xii) მიწის პროფილის ნებისმიერი სახით მნიშვნელოვანი შეცვლა;

(xiii) ნებისმიერი სადრენაჟო თხრილის, საირიგაციო არხის ან ზღუდის და ნაპირების, რომლებიც იცავს „მილსადენებს" და „მიწის ნაკეთის" ნებისმიერ ნაწილს ზიანისაგან, ისევე როგორც ეროზიული კონტროლის მასალის, შეცვლა ან ნებისმიერი სხვა სახით მათთან კონტაქტი;

(xiv) ისეთი ზღუდის თუ ნაპირების შეცვლა ან მათთან სხვა სახის კონტაქტი, რომლებიც ასრულებს დაღვრილი ნავთობის შეგროვების ფუნქციას, ან იცავს მომიჯნავე ტერიტორიას ნავთობის დაღვრის შემთხვევაში;

(xv) ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს „მიწის ნაკეთის" დატბორვა;

(xvi) ხეების და ბუჩქების დარგვა, გარდა წინამდებარე მე-2 დანართის „ა" ცხრილის შესაბამის განყოფილებაში გათვალისწინებულისა.

1.2 [საჭიროებისამებრ:] „წინამდებარე ხელშეკრულების“ ვადის განმავლობაში, „მიწის ნაკვეთის“ იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც მოქცეულია „მიწის გეგმის“ მწვანე წყვეტილი ჩიზების ფარგლებში (შემდგომში „მდინარის გადაკვეთის მიწა“), აკრძალულია შემდეგი სახის საქმიანობა:

(i) ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენება თევზაობის თუ სხვა მიზნებისათვის;

(ii) მდინარის ნაპირების ან ამგვარი ნაპირების მიმდებარე ტერიტორიის შეცვლა ან მოშლა;

(iii) მდინარეზე ახალი სამანქანო გადასასვლელების მოწყობა მილსადენის გადაკვეთის ადგილებთან;

(iv) მდინარის ნაპირებზე ნარგავების ამოღება;

(v) მდინარის კალაპოტის შემადგენელი ნებისმიერი მასალების ამოღება მილსადენის მარშრუტის გაყოლებაზე, ან მილსადენის გადაკვეთის ადგილების მიმდებარე ტერიტორიებიდან;

(vi) მშენებლობა ან ნებისმიერი სახის სამუშაოს განხორციელება თევზჭერის მიზნით;

(vii) მდინარის დინების მიმართულების შეცვლა მილსადენის გადაკვეთის ადგილების ზემოთ ან მიმდებარე ტერიტორიებზე;

(viii) მდინარეზე კაშხალის მოწყობა, მილსადენის გადაკვეთის ადგილების მიმდებარე ტერიტორიებზე;

(ix) მდინარის კალაპოტიდან მიწის ამოღება, „მილსადენის კომპანიის“ წინასწარი წერილობით თანხმობის გარეშე;

(x) ურნალის გამოყენება;

(xi) საინჟინრო სამუშაოების განხორციელება წყლის ქვეშ;

(xii) ხიდების და სხვა ნაგებობების მშენებლობა.

2. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს წინასწარ თანხმობას

„მეორე ზონის მიწაზე “ შემდეგი სახის საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ „მილსადენის კომპანიის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე და „მილსადენის კომპანიის“ ზედამხედველობის ქვეშ:

ა) ნებისმიერი ისეთი სახის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, რომელიც მოიცავს ნიადაგის გათხრას ან მასში სხვაგვარ ჩარევას 30 სმ-ზე უფრო ღრმად;

ბ) ისეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-მექანიზმების გამოყენება, რომელთ სიმძიმე 10.6 ტონაზე მეტია, ან რომელია მიწაზე წნევა 1.01 კგ/სმ^2-ზე მეტია, ან რომელთა ერთი ღერძი აწონის 7.63 ტონაზე მეტს;

გ) ნებისმიერი სახის ხაზების (მათ შორის ელექტროგადამცემი), კაბელების ან მილების დამონტაჟება მიწის ქვეშ ან ზეკით (მიწის ზედაპირზე ან ბოძებზე);

დ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების აუცილებელი ღობეების დამონტაჟება;

ე) გზების, ბილიკების ან რკინიგზის მშენებლობა;

ვ) გათხრები (30 სმ-ზე ღრმა) და საირიგაციო მოწყობილობების მშენებლობა;

ზ) მიწის პროფილის უმნიშვნელო შეცვლა; და

თ) ახალი საირიგაციო სისტემების (30 სმ-ზე ღრმა) ან სადრენაჟო არხების აგება.

3. ნებადართული საქმიანობა

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ხელისშემშლელი მიზეზები „მილსადენის კომპანიის" საქმიანობისათვის, შემდეგი სახის საქმიანობა დაშვებულია „მეორე ზონის მიწაზე":

(ა) ისეთი სახეობის ხეების და ბუჩქების დარგვა, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე მე-2 დანართის „ა" ცხრილში;

(ბ) მიწის დამუშავება 4 ტონაზე ნაკლები წონის ტრაქტორით, არაუმეტეს 30 სმ სიღრმეზე;

(გ) ჩვეულებრივი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება, მათ შორის ყოველწლიური ნათესების დათესვა, არაუმეტეს 30 სმ-ის სიღრმეზე, იმ პირობით, რომ ამგვარი საქმიანობისათვის გამოყენებული იქნება 10.6 ტონაზე ნაკლები წონის, ან 1.01 კგ/სმ2-ზე ნაკლები წნევის, ან თითო ღერძი 7.63 ტონაზე ნაკლები მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანები, როგორიც არის „ნივის" ტიპის მოსავლის ამღები კომბაინი.

მე-2 დანართის ცხრილი „ა"

„ მილსადენის კომპანიის" სახელით:

„მიწის მესაკუთრის" სახელით:

ნოტარიუსი:

სერვიტუტის ნაკვეთის გეგმა

[illegible]	წალკა	[illegible]	[illegible]
[illegible]	გუმბრი	[illegible]	სოფ. გუმბრი
[illegible]	8528064	[illegible]	[illegible]
[illegible] N	852601566	სერვიტუტის ნაკვეთის ფართობი,	126.4
[illegible]	კერძო		



AGT002-2000-GI-GRM-03609-SHT129 მასშტაბი 1 : 1000 Print date : 31/03/2006


მჭიდროდ ხის ჯიშები ბალ შორის ვენური და ტანიფი
ბალიდენდროლოგიური და ფიზიოლოგიური ტიპის ხის ჯიშები
ხოფლის მეურნეობის წარმოების ჩვეული პროცესი
ბუჩქების დარგვა
ხეების ბუჩქები
ელექტრიული ფანათი მიდამოებებს შორის
15 მ
8 მ
28 მ
4 მ
4 მ